ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ28.282222212**

თარიღი:**10/08/2022**

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის, ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,დ“ პუნქტის, ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების და „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 3 აგვისტოს Nგ-29.29222151 განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია, დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს და ინფორმაცია განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge-ზე.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

ლაშა გოგიაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა. რუსთაველის ქ. N109, ტელ. 0491 24 44 64,
109, Rustaveli Str. Terjola. Tel: 0491 24 44 64 Email: info@terjola.gov.ge